



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010131508100617

13 / ნოემბერი / 2017 წ.  
№ 1053/ს

კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებისათვის ტყის  
ფონდის სარგებლობაში გაცემის მიზნით N338 ლოტი (N01 და N02)  
ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი და 1<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 48-ე მუხლის, შპს "მაგთიკომის"-ს 2017 წლის 24 ოქტომბრის N17/10/24-9 წერილისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 09 ნოემბრის N26511/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებისათვის ტყის ფონდის სარგებლობაში გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტებზე:

**ლოტი N1-** სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული კახეთის სატყეო სამსახურის საგარეჯო-გურჯაანის სატყეო უბნის მანავის სატყეოს 33-ე კვარტლის მიმდებარედ არსებული 15 მ<sup>2</sup> (საკადასტრო კოდი: N55.09.66.082) მიწის ნაკვეთი.

**ლოტი N2-** სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის ჩხოროწყუ-წალენჯიხის სატყეო უბნის ჭალეს სატყეოს ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში არსებული 100 მ<sup>2</sup> (საკადასტრო კოდი: N47.09.31.090) მიწის ნაკვეთი.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსს (გ. ბლიაძე) სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს", ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;


4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის უფროსს (ბ. კიწმარიშვილი) სსიპ "ეროვნული სატყეო სააგენტოს", ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება;

11/13/2017

ეროვნული სატყეო სააგენტო

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, გულუას ქ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის  
მოადგილე



ნათია იორდანიშვილი